კერძო ფარმაკოლოგია

| | |
|---|---|
| **შეფასების სისტემა** | სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (#3, 5.01.2007) შესაბამისად.<br><br>სტუდენტის ცოდნის შეფასების კომპონენტებია:<br>• სტუდენტის დასწრება სემინარებზე - 3 ქულა,<br>• სტუდენტის აკადემიური აქტივობა– 33 ქულა:<br>• შუალედური ჩათვლები - 24 ქულა (3 შუალედური ჩათვლა თითო შუალედური ჩათვლის მაქსიმალური შეფასება – 8 ქულა);<br>• საბოლოო გამოცდა – 40 ქულა;<br><br>დასწრების მაქსიმალური შეფასება შეადგენს 3 ქულას. სემესტრის განმავლობაში ტარდება 15 სემინარული მეცადინეობა. თითოეულ მეცადინეობაზე დასწრება ფასდება 0,2 ქულით.<br><br>სტუდენტის აკადემიური აქტივობია ფასდება მაქსიმუმ 33 ქულით.<br>თითოეულ სემინარზე სტუდენტის ცოდნა (აქტივობა) ფასდება 3 ქულიანი სისტემით, 0,6 ქულიანი ინტერვალით. შეფასება ხდება როგორც ტესტირებული, ასევე ზეპირი გამოკითხვით. სულ ტარდება 15 სემინარი, აქედან ფასდება მხოლოდ 11, არ ფასდება პირველი სემინარი, და 3 შუალედური ჩათვლის მეცადინეობა.<br><br>(3 ქულა – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს ამომწურავად, ტესტირებულ დავალებას ასრულებს უშეცდომოდ, 2,4 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს მცირე შეცდომებით, ტესტირებულ დავალებაში უშვებს ერთ ან ორ შეცდომას, 1,8 – სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ცოდნა არ არის ღრმა, კითხვებზე პასუხობს, თუმცა ცხადია უზუსტობები, ტესტირებულ დავალებაში უშვებს შეცდომებს, 1,2 – სტუდენტმა თეორიული მასალა იცის მნიშვნელოვანი ხარვეზებით, უჭირს კითხვებზე პასუხი, ტესტების ნახევარზე მეტი შეცდომით არის შესრულებული, 0,6 – სტუდენტის ცოდნა ძალიან ზედაპირულია, კითხვებზე ვერ პასუხობს, ტესტებს ასრულებს შეცდომით, 0 - სტუდენტს მასალა არ მოუმზასდებია). |

| | |
|---|---|
| | კურსის სწავლების განმავლობაში ტარდება **3 შუალედური ჩათვლა** ზეპირი გამოკითხვითა და წერითი (ტესტური) ფორმით (მათ შორის თანაფარდობა შეადგენს 3/5), რაც  უზრუნველყოფს სტუდენტის მაქსიმალურად ობიექტურ შეფასებას. თითოეული შუალედური ჩათვლის მაქსიმალური შეფასება–8 ქულაა (=3+5). წერითი გამოკითხვა მოიცავს 25 ტესტს, თითო ტესტის ფასი 0.2 ქულაა. ზეპირი გამოკითხვა ფასდება შემდეგი სისტემით: (3 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს ამომწურავად, 2,4 – სტუდენტი სრულად ფლობს მასალას, კითხვებზე პასუხობს მცირე შეცდომებით, 1,8 – სტუდენტის მიერ თეორიული მასალის ცოდნა არ არის ღრმა, კითხვებზე პასუხობს, თუმცა ცხადია უზუსტობები, 1,2 – სტუდენტმა თეორიული მასალა იცის მნიშვნელოვანი ხარვეზებით, უჭირს კითხვებზე პასუხი, 0,6 – სტუდენტის ცოდნა ძალიან ზედაპირულია, დამატებით კითხვებზე ვერ პასუხობს 0 - სტუდენტს მასალა არ მოუმზასდებია).<br><br>სასწავლო სემესტრის განმავლობაში სტუდენტს შალედური ჩათვლებით შეუძლია მაქსიმუმ 24 ქულის მოპოვება.<br><br>**გამოცდა კერძო ფარმაკოლოგიაში** წერითია, ტარდება საგამოცდო ცენტრში, თითო ბილეთი მოიცავს 100 ტესტს. გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის სტუდენტმა შესაძლო 40 ქულიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 24 ქულა.<br><br>საგანი ჩაითვლება ჩაბარებულად თუ შუალედური შეფასებისა და გამოცდის ქულის ჯამი ტოლია 51 ქულის ან აღემატება მას.<br><br>სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი შკალით შუალედური შეფასების კომპონენტების და საბოლოო გამოცდის შეფასების ჯამით.<br><br>შეფასების სისტემით დაშვებულია:<br>ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:<br>• (A) ფრიადი – 91-100 ქულა<br>• (B) ძალიან კარგი – 81 – 90 ქულა<br>• (C) კარგი – 71 – 80 ქულა<br>• (D) დამაკმაყოფილებელი – 61 – 70 ქულა<br>• (E) საკმარისი –51 – 60 ქულა |

| | |
|---|---|
| | ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:<br>• (Fx) ვერ ჩააბარა – 41 – 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაცნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>განმეორებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება არანაკლებ 5 დღიანი შუალედის შემდეგ. |
| **გამოცდაზე დაშვების წინაპირობა** | გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა შუალედური შეფასების კომპონენტებით უნდა დააგროვოს არანაკლებ 11 ქულისა. |
| **ძირითადი სასწავლო ლიტერატურა** | 1. კ.ვალენი, ლიპინკოტის ილუსტრირებული გამოცემა: ფარმაკოლოგია, მეექვსე გამოცემა, ქართული თარგმანის ავტორი და სამეცნიერო რედაქტორი თამარ კეზელი, 2017.<br>2. ბ.კატცუნგი „ბაზისური და კლინიკური ფარმაკოლოგია", მეათე გამოცემა, 2010. |
| **დამატებითი - დამხმარე ლიტერატურა** | 1. Robbins, Kotran. 2014. Pathologic basis of disease (9th Edition). – 9. Bertram G. Katzung, Anthony J. Trevor, Basic & Clinical Pharmacology, 14th edition, 2018<br>2. Katzung & Trevor's Pharmacology Examination & Board Review, 12th edition, 2019.<br>3. Finkel Richard, Pharmacology, Lippincott's illustrated Reviews. 6th edition, 2015.<br>4. Rang H.P., Dale M. M., Ritter J . M., Moore P.K. Pharmacology. 8th edition 2016.<br>5. Goodman and Gilman. The Pharmacological Basis of Therapeutics. 12th edition. 2011.<br>6. Kaplan, Lecture Notes, 2017 |